1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ექსპედიტორი კომპანიის საწყობებიდან, რომლებიც მდებარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში – ქალაქი “New Castle”-ში, თურქეთის რესპუბლიკაში - ქალაქი "Trabzon"-ში და ჩინეთის რესპუბლიკაში - ქალაქ "Guangzhou "-ში მომხმარებლის მიერ გაგზავნილი და ექსპედიტორის მიერ მიღებული ტვირთის საქართველოში გადაზიდვის მომსახურების გაწევა, რომელსაც ექსპედიტორი კომპანია უზრუნველყოფს თავისი სახელით და შემკვეთის ხარჯზე.

2.რეგისტრაცია

2.1. კომპანია “TRANSPORTER”-ში მომხმარებლის რეგისტრაცია უფასოა და ნებაყოფლობითი. რეგისტრაცია ხორციელდება ვებგვერდზე www.transporter.ge მომსახურების პირობები საჯაროა. კომპანია TRANSPORTER-ის მომსახურებით სარგებლობა ნიშნავს, რომ მომხმარებელი დაეთანხმა აღნიშნული ხელშეკრულების პირობებს.

2.2. ვებგვერდზე რეგისტრაციისას მომხმარებელს ენიჭება ინდივიდუალური კოდი, „ოთახის ნომერი“.

2.3. მომხმარებლის მიერ რეგისტრაციის დროს მოწოდებული ინფორმაცია კონფიდენციალურია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი მოითხოვს ასეთი ინფორმაციის გასაჯაროებას ან მისი სხვა ფორმით გადაცემას.

2.4. მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას საკუთარი სარეგისტრაციო მონაცემების კონფიდენციალურობა, არ გაამჟღავნოს, არ გადასცეს მესამე პირებს და თავად აკონტროლოს მისი მონაცემების გამოყენების შესაძლებლობა.

2.5. წინამდებარე მომსახურების პირობები მოქმედებს საქართველოში ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ამანათის შპს “ტრანსპორტერისთვის“ მიწოდებიდან და წყვეტს მოქმედებას ნივთის ადრესატისთვის მიწოდებისთანავე.

3.ტრანსპორტირების ღირებულება, ამანათის წონის დამრგვალება და გადახდა

3.1. მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხორციელდება ტვირთების ჩამოტანის შემდეგ, არაუგვიანეს 30 დღეში. ვადის გადაცილების შემდეგ ტვირთს გადადის ფასიან საწყობში.

3.2.ტრანსპორტირების ღირებულება გამოითვლება ამანათის მომხმარებლის პირად ოთახში ასახვის დღეს საქართველოს კომერციული ბანკების მიერ დადგენილი უცხოური ვალუტის შესყიდვის კურსით ლარში.

3.3. ტრანსპორტირების ღირებულების გადახდა ხორციელდება შემდეგი მეთოდებით

-შპს ტრანსპორტერის ვებ-გვერდის საშუალებით(PAY ღილაკიდან) -საკომისიო 2%

-ფეი ბოქსის და საქართველოს ბანკის ჩასარიცხი აპარატებიდან- საკომისიო 2%

- შპს ტრანსპორტერის საბანკო ანგარიშებზე -საკომისიო 0% :

სს "თიბისი ბანკი"- GE86TB5480336020100006

სს "საქართველოს ბანკი"-GE75BG0000000584703626

სს "პროკრედიტ ბანკი"-GE25PC0093600100024283

ტრანსპორტერის საბანკო ანგარიშზე თანხის გადმორიცხვის დროს სავალდებულოა დანიშნულებაში ოთახის ნომრის მითითება.

3.4 .ამერიკიდან და თურქეთიდან ტრანსპორტირების ღირებულება ითვლება რეალური წონით. (განსაკუთრებული გაბარიტების მქონე ნივთებზე (1.5მ-ზე მეტი) აუცილებელია წინასწარ ინფორმაციის მოწოდება).

ჩინეთიდან ტრანსპორტირების ღირებულება გამოითვლება ამანათების ჯამური წონიდან, მათი რეალური და მოცულობითი წონის გათვალისწინებით. თუ მოცულობითი წონა აჭარბებს რეალურს, ტრანსპორტირების ღირებულება ანუ გადასახდელი წონა დამოკიდებული იქნება მოცულობით წონაზე. მოცულობითი წონა განისაზღვრება ამანათის სიგრძე, სიგანე, სიმაღლის გადამრავლებით და 6000-ზე გაყოფით, სანტიმეტრი და კილოგრამი ერთეულისთვის შემდეგი ფორმულის მიხედვით: (სიგრძე X სიგანე X სიმაღლე X / 6000).

3.3. მხარეთა შორის ანგარიშსწორება ხორციელდება ტვირთების ჩამოტანის შემდეგ, არაუგვიანეს 30 დღეში. ვადის გადაცილების შემდეგ ტვირთი გადადის ფასიან საწყობში.

3.4. მინიმალური წონა ქვეყნების მიხედვით განისაზღვრება შემდეგნაირად: ამერიკა, ჩინეთი, თურქეთი - 100 გრ.

3.5. წონის დამრგვალება ხდება 100 გრამის სიზუსტით.

3.6. მოცულობითი წონის შემცირების მიზნით შპს „ტრანსპორტერი“ მოახდენს ტვირთის გადაფუთვას თუ მასში მოთავსებულია : ტანსაცმელი,ფეხსაცმელი და ჩანთა.

3.7. ბალანსზე შეცდომით ჩარიცხული თანხის დაბრუნება შესაძლებელია პირადი განცხადების საფუძველზე.

4. საკურიერო მომსახურება:

4.1. შპს ტრანსპორტერი მომხმარებელს სთავაზობს საკურიერო სერვისს როგორც ქ. თბილისში, ასევე ბათუმის მთელ ტერიტორიაზე.

4.2. საკურიერო მომსახურების გააქტიურება შესაძლებელია შპს ტრანსპორტერის პანელიდან. იმისათვის, რომ მომხმარებელმა ისარგებლოს საკურიერო მომსახურებით, აუცილებელია წინასწარ ჩარიცხოს ბალანსზე შესაბამისი თანხა, გადაამოწმოს მითითებული მისამართი, ტელეფონის ნომერი და მონიშნოს საკურიერო მომსახურება პირად კაბინეტში.

4.3. თბილისის მასშტაბით საკურიერო მომსახურების ტარიფებია:

0.1კგ-დან 10კგ-მდე ამანათები- 5(ხუთი) ლარი

10კგ-დან 30კგ-მდე ამანათები- 10(ათი) ლარი

30კგ-დან 100კგ-მდე ამანათები- 15(თხუთმეტი) ლარი

100კგ-დან 300კგ-მდე ამანათები- 20 (ოცი)ლარი

300კგ-დან 500კგ-მდე ამანათები- 30 (ოცდაათი)ლარი

500კგ-დან 1000კგ-მდე ამანათები- 50 (ორმოცდაათი) ლარი

4.4. საქართველოს სხვა ქალაქებსა და რეგიონებში ამანათების გაგზავნა ხდება მიმღების მისამართის გათვალისწინებით. რეგიონალური საკურიერო მომსახურების საფასური შეადგენს -10 (ათი) ლარს.

4.5.საკურიერო მომსახურების გააქტიურების შემდეგ მისამართისა და ტელეფონის ნომრის ცვლილება შეუძლებელია.

4.6. კურიერი არ არის ვალდებული ამანათი აიტანოს სართულებზე.გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა (მაგ: მიმღები არის შეზღუდული შესაძლებლობის პირი)

4.7. განსაბაჟებელი ამანათების საკურიერო სერვისი ხორციელდება საბაჟო პროცედურების დასრულების შემდგომ. საბაჟო დეკლარაციას კურიერი გადმოგცემთ გზავნილთან ერთად.

4.8. საკურიერო მომსახურება შესაძლებელია ყოველდღე, კვირის გარდა. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 15:00 საათამდე გააქტიურებული გამოძახება შესრულდება იმავე დღეს, 15:00 საათის შემდეგ გააქტიურებული შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. შაბათს, 14 საათამდე გააქტიურებული გამოძახება შესრულდება იმავე დღეს, 14:00 საათის შემდეგ გააქტიურებული კი შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

4.9.მისამართზე მისვლის დროს კურიერი რეკავს მითითებულ მობილურ ნომერზე არუმეტეს 3 ჯერ, 2 წუთიანი ინტერვალებით. იმ შემთხვევაში თუ მიმღები არ უპასუხებს მობილურ ტელეფონს, კურიერი 6 წუთის შემდეგ ტოვებს გამოძახების ადგილს.

4.10. მიმღების მიზეზით გაუქმებული გამოძახების შემთხვევაში, მომსახურების საფასური არ ანაზღაურდება.

4.11. ტვირთის მისამართზე მიღებისას აუცილებელია პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენა.

4.12.საკურიერო მომსახურება მოქმედებს 15:00 საათიდან საღამოს 22:00 საათამდე.

4.13.კომპანია უფლებას იტოვებს ნებისმიერ დროს ცალმხრივად შევცვალოს ზემოთ აღნიშნული პირობები.

5. ტრანსპორტირების პირობები

5.1. შპს ტრანსპორტერის საწყობში შესული გზავნილი , რომელზეც დატანილია მომხმარებლის სახელი, გვარი და ოთახის ნომერი მიიჩნევა ამ პირის საკუთრებად და იგზავნება საქართველოში.

5.2.მომხმარებლის მითითების საფუძველზე არ ხდება ამანათების შეყოვნება ან დატოვება რომელიმე ქვეყნის საწყობში.

5.3.ამანათის დეკლარირება სავალდებულოა. დეკლარირება გულისხმობს მომხმარებლის პირად ანგარიშზე - „ოთახზე“ ამანათის ასახვისას ან წინასწარი დეკლარირებისას მომხმარებლის ვალდებულებას, მიუთითოს პროდუქციის გამომგზავნის დასახელება, ამანათის აღწერა და ფასი. ასევე, საჭიროების შემთხვევაში წარმოადგინოს ნივთის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტი - ინვოისი.

5.4. მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს ტრანსპორტირების ღირებულება, მიუხედავად იმისა, გზავნილი წარმოადგენს თუ არა გამყიდველის/გამომგზავნის შეცდომას, თუ მიმღებს აღარ სურს ნივთის მიღება.

5.5.მომხმარებლის კომპანიის მიმართ სატრანსპორტო დავალიანების არსებობის შემთხვევაში, კომპანია იტოვებს უფლებას არ გასცეს სხვა ჩამოსული ამანათები ძველი დავალიანების დაფარვამდე.

5.6.დაუშვებელია ისეთი ნივთების ტრანსპორტირება, რომელთა გადაზიდვა აკრძალულია ავიაკომპანიის ან სატრანსპორტო კომპანიის მიერ. შპს ტრანსპორტერი იხსნის პასუხისმგებლობას ასეთი პროდუქციის ტრანსპორტირებით დამდგარ შედეგებზე.

5.7.კომპანიის უცხოური მისამართებიდან ამანათები იგზავნება ვებ-გვერდზე მითითებული განრიგის შესაბამისად. განრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით მომხმარებელს ინფორმაცია მიეწოდება ვებგვერდის საშუალებით.

5.8.ტრანსპორტირებისთვის განკუთვნილი ამანათი უნდა იყოს სათანადოდ შეფუთული ,ამანათის შეფუთვისას გათვალისწინებული უნდა იყოს შესაძლო გარეგანი ზემოქმედების

ფაქტორები ,ასევე, ნივთი საჭიროების შემთხვევაში უნდა იყოს უზრუნველყოფილი დამატებითი შეფუთვით, ყუთი უნდა იყოს დალუქული წებოვანი ლენტით ან თოკით .

5.9.ფილიალიდან უკვე გატანილ ან საკურიერო სერვისით მიღებულ ამანათზე, რომლის გახსნასაც არ ესწრებოდა კომპანიის თანამშრომელი, პრეტენზია აღარ მიიღება.

5.10.იმ შემთხვევაში, თუ ჩინეთში მიღებული ტვირთი გამოგზავნილია მოცულობითი წონით და აღემატება 30კგ-ს, კომპანია უფლებას იტოვებს შეაჩეროს აღნიშნული ტვირთი მომხმარებლის დასტურის მიღებამდე.

5.11 მსხვრევადი ნივთების გადაფუთვა არ ხდება ამანათის უსაფრთხოების მიზნით. ამანათების გადაფუთვა არ ეხება თურქეთის და ამერიკის რეისებს.

6. ამანათის დეკლარირება

6.1.ამანათის დეკლარირება შპს „ტრანსპორტერის“ ვებგვერდზე აუცილებელია ნივთის საქართველოში ჩამოსვლამდე.

6.2.დეკლარირებული თანხა აუცილებლად უნდა ემთხვეოდეს შეძენილი ნივთის რეალურ ღირებულებას. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა მთლიანად ეკისრება მომხმარებელს. რეისის ჩამოსვლის შემდეგ დეკლარაციაში ცვლილების შეტანა შეუძლებელია.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ ნივთი ექვემდებარება განბაჟებას, ინვოისის ატვირთვა დეკლარირებისას სავალდებულოა.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი არ შეავსებს გზავნილის დეკლარაციას (საფოსტო გზავნილის ღირებულების დეკლარაციას), გზავნილი გაჩერდება საბაჟოზე. მომხმარებელმა 8 დღის განმავლობაში უნდა მოახდინოს გზავნილის დეკლარირება (წარმოადგინოს ინვოისი ან ჩაუტაროს საბაჟო ექსპერტიზა). დაუდეკლარირებლობის შემთხვევაში მოხდება ნივთის განკარგვა დადგენილი საბაჟო პროცედურების მიხედვით.

7. განბაჟება

7.1. ამანათის განბაჟება და სხვა საბაჟო პროცედურები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მომხმარებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოს კანონმდებობით დადგენილი რეგულაციები. კომპანიას უფლება აქვს მიაწოდოს მომხმარებელს სათანადო ინფორმაცია საბაჟო პროცედურებთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული არ წარმოადგენს შემსრულებლის ვალდებულებას.

7.2. ამანათები, რომელთა ჯამური ღირებულება აღემატება 300 ლარს ან აღემატება 30 კილოგრამს ან არის განკუთვნილი კომერციული საქმიანობისთვის, საქართველოს კანონმდებლობით ექვემდებარება განბაჟებას.

7.3. განსაბაჟებელი ამანათები გაიცემა მხოლოდ ოფისებში სპეციალურ დოკუმენტთან ერთად,სადეკლარანტო მომსახურება უფასოა.

7.4 იმ შემთხვევაში, თუ საბაჟო სამსახური დააკისრებს საჯარიმო სანქციას კომპანია TRANSPORTER-ს მომხმარებლის მიერ მომსახურების პირობების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის გამო (მაგ.: პროდუქციის არასრული ან არაზუსტი დეკლარირება), კომპანია უფლებას იტოვებს აღნიშნული ჯარიმის გადახდა დააკისროს მომხმარებელს.

9. ამანათის გაცემა

9.1. ამანათის მიღება შესაძლებელია შპს ტრანსპორტერის ფილიალში ან კურიერის მეშვეობით. ამანათის გადაცემა ხდება მომხმარებლის მიერ პირადობის მოწმობის, პასპორტის, მართვის მოწმობის საფუძველზე.

9.2 ამანათის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტები უნდა იყოს ძალაში მყოფი და ვადიანი დოკუმენტის დედანი ან სათანადოდ დამოწმებული ასლი. დოკუმენტის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია მომხმარებელი.

9.3 ამანათების მიღება მესამე პირის მიერ შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი პროგრამაში მიუთითებს მინდობილ პირს და მიმღები წარმოადგენს საკუთარი პირადობის მოწმობის, მართვის მოწმობის ან პასპორტის დედანს. ასევე, ამანათის გადაცემა მესამე პირზე შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ მას შეუძლია წარადგინოს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი:

ა) მიმღების პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, ან პასპორტი გადახდის ქვითართან ერთად. ბ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, ამანათის გამტანის პირადობის მოწმობა და გადახდის ქვითარი

10. პროდუქცია, რომლის ტრანსპორტირებაც აკრძალულია:

10.1 საქართველოს კანონმდებლობით აკრძალულია საფოსტო გზავნილით შემდეგი სახის ნივთების გამოგზავნა:

ა) რეალური ფული, ფასიანი ქაღალდები, საბანკო ბარათები და ბანკნოტები;

ბ) ძვირფასი ქვები, პლატინა, ოქრო, ვერცხლი და მათგან დამზადებული საიუველირო ნაწარმი; გ) საღებავი და ტოქსიკური ნივთიერებები;

დ) ფეთქებადი, აალებადი და სხვა საშიში ნივთები;

ე) ცეცხლსასროლი იარაღი ან მათი ნაწილები, ელექტროშოკერი, არბალეტი და ცივი იარაღები;

6) პორნოგრაფიული სახის პროდუქცია;

7) ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი პროდუქცია;

8) ნებისმიერი სახის არომატიზატორი.

9) სამედიცინო პრეპარატები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით მხოლოდ რეცეპტით გაიცემა;

10) ცხოველები, ფრინველები, თევზები, მღრღნელები ან მათი ფიტულები;

11) რძის, ხორცის, თევზის პროდუქტები ან თამბაქოს ნაწარმი.

10.2 **ჩინეთიდან** გამოგზავნილ ამანათებზე მოქმედებს დამატებითი რეგულაციები. აკრძალულია შემდეგი ტიპის პროდუქციის ტრანსპორტირება: ბატარეა, საკვები, ფხვნილი, სითხეები, მათ შორის კოსმეტიკა, კრემები, ფრჩხილის ლაქი, ასევე, კონტაქტური ლინზები, ელექტრო სანთებელა, ბასრი იარაღები, სათამაშო იარაღები.

10.3 მომხმარებლის მხრიდან აკრძალული პროდუქციის გამოგზავნის შემთხვევაში კომპანია TRANASPORTER-ი არ იღებს პასუხისმგებლობას საბაჟოს მხრიდან პროდუქციის კონფისკაციაზე.

10.4 საჰაერო გზით გამოგზავნადი პროდუქციის ნუსხა ასეულ გვერდს შეადგენს, გააჩნია უამრავი გამონაკლისები და ნიუანსები, რომელიც კონკრეტული შემთხვევების დროს სათითაოდ განიხილება. ექსპედიტორი კომპანია, უფლებამოსილია არ გამოაგზავნოს საქართველოში ესა თუ ის პროდუქცია უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე.

11. მომხმარებლის პერსონალური მონაცემების დამუშავება და დაცვა

11.1. მომხმარებლის მიერ რეგისტრაციისას წარმოდგენილი პირადი ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს და დაცულია კანონით. კომპანია არ გადასცემს მესამე მხარეს მომხმარებლის შესახებ რაიმე სახის ინფორმაციას კანონით დადგენილი საფუძვლის არსებობის გარეშე.

11.2.მომხმარებელი აცხადებს თანხმობას შპს „ინექს გრუპმა“ შეაგროვოს, დაამუშაოს და შეინახოს მასთან დაკავშირებული მონაცემები მათ შორის არსებული ხელშეკრულების, კონფიდენციალურობის პოლიტიკისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.3. შპს ტრანსპორტერი უფლებას იტოვებს მოახდინოს მომხმარებელთან ურთიერთობის ჩაწერა და დამახსოვრება ინტერნეტის, სატელეკომუნიკაციო და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების საშუალებით, მათ შორის ელ–ფოსტით გამოგზავნილი წერილების და ტექსტური შეტყობინებებით საუბრების, სოციალური ქსელის კომენტარების გზით, მომხმარებელთან სასამართლო ან სხვა დავის წარმოქმნის შემთხვევაში უფლებების დაცვის მიზნით, ასევე მომხმარებელთა ინტერესების და უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

11.4. . შემსრულებელი უფლებას იტოვებს გამოიყენოს კლიენტის/დამკვეთის ელ-ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი საკუთარ პროდუქციასთან ან/და მომსახურებასთან დაკავშირებული მარკეტინგული შეტყობინებების გაზიარებისთვის.

12. შემკვეთი ანუ მომხმარებელი ვალდებულია:

12.1. სრულად მიაწოდოს ექსპედიტორს ინფორმაცია გასაგზავნი ტვირთის შესახებ

12.2. არ გაავრცელოს ცრუ, ზიანის მომტანი ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში კომპანია მიმართავს სამართლებრივ ზომებს.

12.3. მომხმარებელი ვალდებულია შპს ტრანსპორტერის ვებ-გვერდზე მიუთითოს ამანათის გზავნილის ნომერი ე.წ. თრექინგ კოდი და დაადეკლარიროს პროდუქცია წინასწარ, რაც გულისხმობს ნივთის ღირებულების, ონლაინ მაღაზიის, გამგზავნი ქვეყნის და პროდუქციის კატეგორიის მითითებას,რაც ხელს შეუწყობს ამანათის იდენტიფიცირებას საწყობში შესვლისთანავე.

12.4 მომხმარებელი ვალდებულია ამანათის შესაბამის ოფისში მიღებისას გადაამოწმოს ამანათის შიგთავსი. ოფისიდან გასვლის შემდეგ პროდუქციის დაზიანების შესახებ პრეტენზიები აღარ განიხილება და კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას ამანათში არსებული პროდუქციის შესაძლო დაზიანებაზე ან დანაკლისზე.

12.5. მომხმარებელი ვალდებულია 30 დღის ვადაში გადაიხადოს ტრანსპორტირების ღირებულება და მიიღოს ამანათი. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ ამანათები გადადის ფასიან საწყობში.

12.6. მომხმარებლის მიერ ამანათის მიღებაზე უარის თქმა, გარკვეული გარემოებების (კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო) ან მომხმარებლის სურვილით ნივთის სახელმწიფოსთვის გადაცემა არ ათავისუფლებს მომხმარებელს ტრანსპორტირების ღირებულების გადახდისგან.

13. ექსპედიტორი კომპანიის პასუხისმგებლობის ფარგლები:

13.1. კომპანია პასუხს არ აგებს არასათანადო შეფუთვის გამო ნივთის დაზიანებისთვის. შიგთავსის მთლიანობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი (გამყიდველი) .შპს ტრანსპორტერი არ უზრუნველყოფს დამატებით შეფუთვას. მსხვრევადი ტვირთის შემთხვევაში, გამგზავნი(გამყიდველი) თავად ფუთავს ამანათს და პასუხისმგებლობასაც თავად იღებს მის დაცულობაზე.

13.2. ანაზღაურება არ მოხდება თუ მომხმარებელმა ზიანის არსებობის შესახებ განაცხადა მას მერე, რაც დატოვა კომპანიის ფილიალი/არ გადაამოწმა კურიერის თანდასწრებით, ან თუ ვიზუალურად ამანათის შეფუთვას არ აღენიშნება გარეგნული დაზიანება.

13.3. კომპანიის ბრალის დადგენის შემთხვევაში, ტვირთის დაკარგვის ან/და დაზიანებისას შემსრულებელი აუნაზღაურებს მომხმარებელს დამდგარ ზიანს. ასანაზღაურებელი თანხა განისაზღვრება პროდუქციის ღირებულებით, რაც პროდუქციის შესყიდვის დამადასტურებელ დოკუმენტშია მითითებული , ხოლო შემსრულებლის ბრალის გამორიცხვის შემთხვევაში, მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს ამანათის ტრანსპორტირების ღირებულება.

13.4. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი გაგზავნის ავიაკომპანიის ან სატრანსპორტო კომპანიის მიერ აკრძალულ პროდუქციას, კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას

ტვირთის გამომგზავნ-მაღაზიასთან ან კერძო პირთან ტვირთის დაბრუნებაზე ან უცხოეთში საბაჟოს მხრიდან პროდუქციის კონფისკაციაზე.

13.5. ავიაკომპანიის ან სატრანსპორტო კომპანიის მიერ აკრძალული ნივთის დაკარგვასა ან დაზიანებაზე კომპანია პასუხისმგებლობას არ იღებს.

13.6. შპს ტრანსპორტერი არ იღებს პასუხისმგებლობას თუ, ამანათს არ აქვს დართული სწორი პარამეტრები მომხმარებლის/მაღაზიის მიერ, არ ემთხვევა ან აკლია ოთახის ნომერი, სახელი და გვარი, შეცდომით არის მოწოდებული თრექინგი - შემსრულებელი პასუხს არ აგებს ასეთი ამანათის დროულად მიწოდებაზე.

13.7. კომპანია არ იღებს პასუხისმგებლობას იმ ამანათებზე, რომლის ჩაბარებაზე ფიქსირდება უცხო პირის ხელმოწერა. კომპანია ასევე არ იღებს პასუხისმგებლობას დაუზუსტებელ მისამართზე, მეილბოქსში ან რომელიმე სხვა წერტილში დატოვებულ ამანათებზე, ქუჩაში მიტანილ ამანათებზე.

13.8. არ აგებს პასუხს საბაჟო ორგანოების მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე, რომელიც ამ ორგანოს მიერ იქნება მიღებული საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული გზავნილების მიმართ.

13.9. დაუძლეველი ძალით გამოწვეული ზიანის შემთხვევაში კომპანიის პასუხისმგებლობა გამოირიცხება. ასევე არ იღებს რეისების დაგვიანებაზე, რომელიც შეიძლება იყოს გამოწვეული ავიაკომპანიის ან სატრანსპორტო კომპანიის ბრალეულობით ან უამინდობის, ტექნიკური ხარვეზის (თვითმფრინავის გაუმართაობა), ბუნებრივი მოვლენების ან დღესასწაულებთან დაკავშირებული გადატვირთვების გამო.

13.10.კომპანია “ ტრანსპორტერი “ პასუხისმგებლობას არ იღებს შეცდომით გამოგზავნილ პროდუქციაზე (ფერი / ზომა/რაოდენობა/მოცულობა/სახეობა და სხვა);

14. დამატებითი შეზღუდვები და პირობები

14.1. საქართველოს ტერიტორიაზე, კომპანიის სერვისცენტრში გზავნილის მიღებისას, კომპანია მას ინახავს არა უმეტეს 30 დღის განმავლობაში(30 დღის გასვლის შემდგომ შესაძლებელია გადავიდეს ფასიან საწყობში). თუ გზავნილის საქართველოში შემოსვლიდან 60 დღის ვადაში არ მოხდა მომხმარებლის მიერ გზავნილის მიღება, კომპანია იტოვებს უფლებას თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს ამანათი.

14.2. შემსრულებელი იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ცალმხრივად, სრულად ან ნაწილობრივ შეცვალოს/განაახლოს მომსახურების წესები და პირობები ან კონფიდენციალურობის პოლიტიკა და მოახდინოს აღნიშნულის შესახებ მომხმარებლის ინფორმირება.

14.3. აღნიშნული ავიარეისების განრიგი არ არის ფიქსირებული და კომპანია პასუხისმგებლობას არ იღებს ფორსმაჟორული სიტუაციების შემთხვევაში რეისების დაგვიანებაზე (მაგ.: რთული მეტეოროლოგიური პირობები, ავია კომპანიის მიერ გაუქმებული ან შეცვლილი განრიგი და ა.შ.), ასევე დღესასწაულებთან დაკავშირებულ გადატვირთვებზე ავია კომპანიებში.

14.4. მომხმარებლის ან ნებისმიერი მოქალაქის მხრიდან, შეურაცხმყოფელი გამონათქვამების გამოყენება, კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედება, დაუზუსტებელი ინფორმაციის გავრცელება, როგორც ელ–ფოსტით, ასევე ტელეფონზე, ჩათით ან თანამშრომლების მიმართ პირადად, ასევე კომპანიის ფეისბუქის გვერდზე, გამოიწვევს სერვისის უპირობო შეწყვეტას, ხოლო კომპანიის ფეისბუქის გვერდიდან მის მიერ გავრცელებული ტექსტის ან კომენტარის გაუქმებას და ბლოკირებას.

14.5 შპს ტრანსპორტერი ვალდებულებას იღებს კლიენტთთან მხოლოდ იმ სერვისებზე, რაც აღწერილია მომსახურების პირობების გვერდზე.

14.6 კომპანია უფლებას იტოვებს წინასწარი ინფორმირების შემდეგ, მომხმარებელთან შეთანხმების გარეშე, შეცვალოს მომსახურების მიწოდების პირობები ან შეუწყვიტოს მომხმარებელს მომსახურების მიწოდება.

14.7. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილად ცნობა ზეგავლენას არ ახდენს ხელშეკრულების დანარჩენი მუხლების იურიდიულ ქმედითობაზე.

14.8. მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა სადავო საკითხი ან/და წინააღმდეგობა გადაწყვიტონ ურთიერთშეთანხმებისა და მოლაპარაკების გზით. მხარეთა მიერ სადავო საკითხების მოლაპარაკებათა გზით გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა განსახილველად გადაეცემა თბილისის საქალაქო სასამართლოს.